ხონი

2021 წელი
27
აგვისტო
პარასკევი
№10 (7531)

ხონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გაზეთი

გაზეთი გამოდის 1932 წლის 5 იანვრიდან

2 ოქტომბერი აღგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეა!

გილოცავთ მარიამობის დღესასწაულს!

ღვთისმშობელო ქალწულო, გიხარიან, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშვე სულთა ჩვენთა.

გაიმართა შეხვედრა

დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის საჰელმწიფო სტრატეგიის სამთავრობო კომისიის ფარგლებში იმერეთის რეგიონში, ხონის დეევნილთა დასახლების კულტურის სახლში, იძულებით გადაადგილებულ პირებთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **რუსლან აბაშიძე,** „დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის საჰელმწიფო სტრატეგიის“ შემუშავებისა და განხორციელების სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **ლაშა დარსალია** და ნატოსა და ევროკავშრის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი **თამარ წულეისკირი** მონაწილეობდნენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩელმძღვანელობით მოქმედი სამთავრობო კომისია საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2021 წლის 23 ივნისს შეიქმნა და მიზნად ისახავს ქვეყნის უმთავრესი პრიორიტეტის – დეოკუპაციისა და კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით ერთიანი საჰელმწიფოებრივი მიდგომისა და კომპლექსური კონცეპტუალური დოკუმენტის შექმნას, ინკლუზიური სამუშაო პროცესი ითვალისწინებს საჰელმწიფო უწყებებთან ერთად ფართო საზოგადოების — კვლევითი ცენტრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ექსპერტებისა და აკადემიური წრეების, იძულებით გადაადგილებული პირებისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ჩართულობას.

შეხვედრის მონაწილეებმა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას სამთავრობო კომისიის შექმნის მიზნები, ამოცანები და სამომავლო გეგმები გააცნეს. ყურადღება გაამახვილეს სამუშაო პროცესში იძულებით გადაადგილებული პირების ჩართულობის მნიშვნელობაზე, მოისმინეს მათი მოსაზრებები და იდეები სამშვიდობო პოლიტიკის უფრო ქმედითად და შედეგზე ორიენტირებულად განხორციელების მიმართულებით.

შემაჯამებელ ღონისძიებებზე

ა(ა)იპ ხონის სათემო განათლების ცენტრის გიდის მომზადების არაფორმალური, მოკლევადიანი კურსის შემაჯამებელ ღონისძიებას დაესწრო ხონის მერი **ლადო ჯურხაძე** და მსმენელებს სერტიფიკატები გადასცა.

მან განაცხადა: „მადლობა მინდა ვუთხრა გერმანიის მთავრობას, დანიის ლტოლვილთა საქმის (DRG), გერმანიის საჰალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის თბილისის პროექტთა ბიუროს (DVV INTERNATIONALL) და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ მნიშვნელოვან საქმეს უწევს ორგანიზებას. განსაკუთრებული მადლობა თითოეულ მსმენელს, რომ იჩენენ სურვილს, აქვთ მოტივაცია...

***

ხონის მერი ლადო ჯურხაძე ა(ა)იპ ხონის სათემო განათლების ცენტრის ელექტრო შედუღების არაფორმალური, მოკლევადიანი, პრაქტიკული კურსის შემაჯამებელ მეცადინეობას დაესწრო და კურსის მსმენელებს სერტიფიკატები გადასცა.

„გილოცავთ კურსის წარმატებით დასრულებას. სასიამოვნოა, რომ ზრუნავთ პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე. განათლება ჩვენი პრიორიტეტია და მომავალშიც აუცილებლად დავუჭერთ მხარს ყველა იმ ინიციატივასა და პროექტს, რომელიც მიმართული იქნება ჩვენი მოქალაქეების უკეთესი ხვალინდელი დღის უზრუნველსაყოფად“ — განაცხადა მან.

შეიქმნა მედიკოსთა მობილური ჯგუფი

ხონში კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო პრევენციულ ღონისძიებაში ჩაერთო მედიკოსთა მობილური ჯგუფი, რომელიც ვაქცინაციას უკეთებს მონყვლად ჯგუფებს.

სოფლებსა და ქალაქში ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები ეხმარებიან მოხუცებს, ქრონიკული დაავადების მქონე პირებს, სოციალურად დაუცველებს სასურველი ვაქცინით აცრაში. ვაქცინაცია ნებაყოფლობითია, ვაქცინაცია გვიცავს და სასურველია, თანაბრად იყოს იგი ხელმისაწვდომი ყველასთვის. მობილური ჯგუფის მიზანიც ეს არის. მას კოორდინირებას უწევს მთავრობის დადგენილებით შექმნილი ვაქცინაციის ოპერატიული შტაბი.

იმუნიზაცია - ჩვენი მომავლის უსაფრთხოება!

ყველასათვის ცნობილია, როგორი რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობაა მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც. იმუნიზაციის პროცესმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა და დაპირისპირებაც კი გამოიწვია, აცრა ნებაყოფლობითია, თუმცა გართულებული ეპიდემიოლოგიური ვითარება და ფატალურად დასრულებული შემთხვევები აცრის აუცილებლობას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის.

როგორც ნამყვანი ჯანდაცვის ორგანიზაციები გვატყობინებენ ვაქცინები საფუძვლიანად მონმდება უსაფრთხოებაზე, სანამ ისინი საზოგადოებისთვის გახდება ხელმისაწვდომი.კოვიდ19- ის ვაქცინები შეიქმნა სწრაფად, არსებული მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, მაგრამ უსაფრთხოების მაქსიმალურად შესაძლებელი მაღალი სტანდარტის დაცვით. მართალია ვაქცინაცია ნებაყოფლობითია და ეს თითოეული პირის ინდივიდუალური გადაწყვეტილებაა, მაგრამ ვაქცინაცია დღეისათვის ერთ-ერთი წინგადადგმული და აუცილებელი საჭიროებაა, ჩვენი და ჩვენს გვერდით მყოფი მოქალაქეების უსაფრთხოებისთვის.

პანდემიის პირველივე დღეებიდან მუხლჩაუხრელად მუშაობს ხონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი **ქალბატონი ლელა გოფოძე,** ეპიდემიოლოგები ქალბატონები – **ია კოხრეიძე, ლელა უგულავა, ცხოვრების ჯანსაღი წესების ექიმი ბატონი კახა კობეშავიძე, კოვიდ ტესტირების ამღები ლაბორანტები ქალბატონები - ნატო ავალიანი, თამილა წულაია, ეთერ დანგაძე, ეპიდკვლევაში მონაწილე თანამშრომლები ქალბატონები ირმა ჯაჯაია, ლალი მაისეია, ეკა ქაშიბაძე, მერი ჩიხლაძე.** დღეისათვის მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტში 1000-მდე მოქალაქეა აცრილი სინოფარმით, სინოვაკითა და ფაიზერით, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა კი, სანამ ხონის მუნიციპალიტეტის „ევექსის“ კლინიკაში დარეგისტრირება და აცრა შესაძლებელი გახდებოდა, ქალაქ ქუთაისის სხვადასხვა კლინიკებში ჩაიტარა იმუნიზაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ აცრილებთაგან არცერთს არანაირი გვერდითი მოვლენები, ან სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი პრობლემები არ გამოვლენიათ.

ხონს ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს ნიჭიერი ექიმები, რომლებიც ამ რთულ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაში თავდაუზოგავად იღწვიან და თანამოქალაქეთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან. **ხონის „ევექსის“** კლინიკაში შეუჩერებლად მიმდინარეობს იმუნიზაციის პროცესი ყველა რეგისტრირებული თუ არა რეგისტრირებული, მაგრამ აცრის ჩასატარებლად მისული მოქალაქეებისთვის!

გვახსოვდეს! აცრა არის ერთ-ერთი საშუალება ვირუსის უფრო უსაფრთხოდ დამარცხებისთვის, აცრილი ადამიანიც ისევე, როგორც აუცრელი უნდა იცავდეს ელემენტარულ ნესებს: **1. როდესაც შეუძლებელია სხვა ადამიანებთან უსაფრთხო დისტანციის შენარჩუნება აიფარეთ პირბადე პირსა და ცხვირზე. 2. დაცემინების ან დახველების დროს აიფარეთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი. 3.ხელით არ შეეხოთ თვალებს, ცხვირსა და პირს.4.დარჩით სახლში თუკი ადგილობრივმა ორგანოებმა შესაბამისი მითითება გასცეს.5.ხშირად დაიბანეთ ხელები და დეზინფექცია ჩაუტარეთ სახლში იმ ნივთებს, რომელსაც ხშირად ეხებით. 6. დაიცავით დისტანცია.**

როგორც ვიცით საქართველოს მასწავლებელთა 50% -მა იმუნიზაციის პროცესი ჩაიტარა, რათა ხელი შეუწყონ სასწავლო პროცესის სასკოლო გარემოში განხორციელებას.

აცრა ნებაყოფლობითია და თითოეულმა ჩვენთაგანმა საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე,https://www.youtube.com/watch?v=dJuBO-OkpHk თავისივე ნებით უნდა მოახდინოს არსებული მდგომარეობის, საფრთხეების, საჭიროებების ადეკვატურად შეფასება. აცრა ესაა საშუალება, როდესაც დაინფიცირების შემთხვევაში, გაცილებით იოლად, ფატალური შედეგების გარეშე უნდა დაეძლიოთ ვირუსი.

გავუფრთხილდეთ საკუთარ და ჩვენივე მომავალი თაობების ჯანმრთელობას!

ლია ჩიხლაძე

სიახლეების შესახებ

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში საჯარო რეესტრის წარმომადგენლები ადგილობრივ საჯარო მოხელეებსა და

მერის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გერასიმე მჟავანაძეც ესწრებოდა.

სამუშაო შეკრების მიზანი იყო მუნიციპალიტეტის მიერ საკარმიდამო ნაკვეთებზე ცნობის გაცემის შესახებ საკანონმდებლო სიახლეებისა და ნორმების გაცნობა-გაზიარება.

სარეკომენდაციო ინსტრუქცია, რომელიც შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინეს, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მიერ, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე ცნობის გაცემის პროცედურებს, წარმოებაში მონაწილე მხარეებს, მათ უფლებასა და მოვალეობებს.

გზების მოასფალტება გრძელდება

სოფელ დედალაურში - გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სანიაღვრე არხების კეთილმოწყობა მიმდინარეობს.

***

ხონში თაყაიშვილის ქუჩის შიდა საუბნო გზის მოასფალტება მიმდინარეობს.

***

დევნილთა დასახლებაში გრძელდება გზების მოასფალტება და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა დასახლებამ ამ ბოლო წლებში სულ სხვაგვარი სიფერადე შეიძინა, კეთილმოეწყო, თანამედროვე სტანდარტებით გარემონტდა, აშენდა, დამშვენდა და... და ხონის „პატარა სოხუმი“ გახდა.

წარმატებები თქვენ! გამარჯვებები თქვენ!

ჯამლეთაურიჯა

გაზეთ „ხონში“ გამოქვეყნდა გაზეთის რედაქტორის ქალბატონ **მაია ფეიქრიშვილის** წერილი **„გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“**. იგი მკითხველს თხოვს გაზეთის რედაქციას მიაწოდოს ისტორია მისი გვარის შესახებ.

ფანცულაიას გვარი საქართველოში XVI საუკუნიდან იხსენიება. 2016 წლის იანვრის მონაცემებით ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს 1366 ფანცულაია, ხონში – 185.

ჩვენი გვარი 2018 წელს სამების ტაძარში აკურთხა და დალოცა საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ.

2019 წელს შევიკრიბეთ მარტვილის რაიონში სოფელ ვედიდკარის ფანცულაიათა საგვარეულო ტაძარში... 2020 წელს შეკრება პანდემიის გამო არ შედგა. სოფ. ვედიდკარს აქვს საკუთარი ტაძარი და სასაფლაო . სოფელ ვედიდკარში ერთი ქუჩის ორივე მხარეს ცხოვრობს ფანცულაიას 57 ოჯახი. მას ლეფანცულაია პქვია. შევქმენით საგვარეულო ხატი, გერბი და დროშა. ხატი პირველად შემოაბრძანეს თამაზის, ჩემი შვილის, სახლში თბილისში. შემდეგ გადააბრძანეს სხვა ოჯახში, ხატი დღესაც მოგზაურობს. ამის ორგანიზატორები არიან გოგა ფანცულაია და ჩემი შვილი თამაზი. საქართველოს პატრიარქი ილია მეორე ჩემი ორი შვილიშვილის ანდრიასა და დემეტრეს ნათლია არის. მოგახსენებთ ჩემი გვარი როგორ მოხვდა ხონში. დაახლოებით 230 წლის უკან, სამეგრელოს მთავარს–გრიგოლ დადიანს ხონის **წმინდა გიორგის** ტაძრისთვის გადმოუცია სოფ. ვედიდკარიდან 5 ოჯახი, სამი ფანცულაიას და ორი პაპავას.

გადმოცემით ჩემი წინაპარი დავითი დასახლებულა ახლანდელ სოლომონ მეორის №№97-ში. დავითს და მის მეუღლეს აქ შეძენიათ შვილი ივანე, ივანეს–ვასილი, ვასილს–გალაქტიონი, შემდეგ ჭიჭიკო, ჭიჭიკოს–მერაბი და მერაბს–დავით მეორე.

დღეს ამ ქუჩაზე ცხოვრობს ფანცულაიას 4 ოჯახი. ერთში მაგული ლოჩოშვილი. იგი დავით პირველის შვილიშვილის–ისიდორე ფანცულაიას შთამომავალია. დავით პირველის შთამომავლობა გამრავლდა. დღეს ისინი როგორც საქართველოში, ისე ამერიკაში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ. კარგი ურთიერთობა და კავშირი გვაქვს ერთმანეთთან. ჩემი ძირითადი ოჯახი ცხოვრობს დიდი პაპის–დავით პირველის ფუძეზე სოლომონ II №97–ში. აქ დაიბადნენ და აღიზარდნენ ჩემი და–ძმები, ჩემი შვილები და შვილიშვილები. ჩემი უფროსი ძმა ვასო ქუთაისში ცხოვრობდა, იგი თამაშობდა ფეხბურთს ქუთაისის „დინამოში“ 1946–50 წლებში. იყო კარგი ფეხბურთელი. ჩემს დას ზინას პქონდა კარგი ოჯახი, რომელსაც კარგი შვილები დარჩა, ჩარგეიშვილები არიან. ყავთ შვილები და შვილიშვილები.

ვანომ და მე წარჩინებით დავამთავრეთ მექანიზაციის ტექნიკუმი, შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი, წლების მანძილზე ვემსახურებოდი ახალგაზრდების სწავლა–აღზრდის საქმეს. აქტიურად ვმონაწილეობდით საზოგადოებრივ საქმიანობაში. ვიყავით დამსახურებული მასწავლებლები. ვსარგებლობდით კარგი ავტორიტეტით.

ჩემი ბიძაშვილი შოთა ფანცულაია ბათუმში ცხოვრობდა. იყო ბათუმის კოფეინის ქარხნის დამფუძნებელი და დირექტორი წლების მანძილზე.

ბატონი შოთა შემდეგ რუსთავში გადაიყვანეს და სათავეში ჩაუდგა ქიმიური კომბინატის მშენებლობას. იგი წლების მანძილზე კომბინატის მთავარი ინჟინერი იყო, მინიჭებული პქონდა გმირის წოდება. იყო რუსთავის საპატიო მოქალაქე. მას დაბადების 80 წლისთავზე რუსთავმა გაზეთის სპეც. ნომერი მიუძღვნა. მისი შვილები და შვილიშვილები საქართველოში, მოსკოვში და ამერიკაში ცხოვრობენ.

მეორე ნაბოძარი სერგო ფანცულაია დასახლებულია ჭანტურიას ქუჩა №10–ში. მას სამი გემი ყოლია: „ხონი“, „სონკა“ და „ქსენია“. ამ გემებით ამარაგებდა ევროპას საქონელით. იგი რომ მდიდარი სოვდაგარი ყოფილა, ეტყობა სასახლეს, რომელიც 150 წლის უკან აუგია და დღესაც მომხიბვლელია... ამ სასახლეში დღეს სერგოს შთამომავალნი ცხოვრობენ.

ბ–ნი სერგო ხალხს ასაქმებდა როგორც გემებზე, ისე ტვირთის პორტამდე მიტანა–მოტანაში.

1921 წელს ბოლშევიკების შემოსვლისთანავე სერგოს გემები შავ ზღვაში მიუტოვებია (იხ.პ.ვაჭრიძე ქალაქ ხონის ისტორიიდან. გვ.66).

მესამე ოჯახი მათე ფანცულაია დასახლებულა „ჭითას მინდორზე“ დღეს წერეთლის ქუჩა №15–ში მისი შვილის კოსტა ფანცულაიას კაცობაზე გვიამბობდა გიორგი სანოძე, „1941–45 წლებში გერმანიის ომის დროს ტყვედ ყოფნისას კოსტა გაიპარებოდა ბარაკიდან და ჩვენთვის საკვები მოქონდაო. მან გადაგვარჩინა სიკვდილსო, სული შეგვინარჩუნაო“. მეც მახსოვს კოსტა, პქონდა კარგი იუმორი. ერთგულად ემსახურებოდა კოლმეურნეობას. მათე ფანცულაიას შვილიშვილი, ჩიჟიკო ვარლამის ძე და მე ერთად ვსწავლობდით მექანიზაციის ტექნიკუმში. იგი იყო კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

ახლა სხვა გმირ ფანცულაიების საქმეებზე გიამბობთ: ხონელი, მგონი გორდელი ფანცულაია, სახელი არ მახსოვს, იყო საბაგირო გზების ფუძემდებელი, იგი ჭიათურაში ცხოვრობდა და, რაც იქ საბაგირო გზებია, მიწის ზევით და ქვეშ ყველა მისი დაპროექტებულია, მსოფლიოში საბაგირო გზებით განთქმულია შვეიცარია. იგი შვეიცარიის საპატიო მოქალაქე იყო. მინიჭებული პქონდა გმირის წოდება. ამის შესახებ წერდა ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ 1970 წელს.

მის მიერ,თბილისს, თბილისის 1500 წლისთავზე, უფასოდ გადაეცა საბაგირო გზის პროექტი ზემელიდან – ფუნიკულიორამდე. მას პყოლია ქალიშვილი, თუ ვინმემ იცით მის შესახებ უფრო მეტი, გთხოვთ დამიკავშირდეთ T – 555-41-29-53 ან გაზეთში გამოაქვეყნოთ.

მეფოლადე ამირან ფანცულაია მარტვილიდან იყო, იგი წლების მანძილზე მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, იყო სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს ცეკას ბიუროს წევრი, რუსთავის საპატიო მოქალაქე, შეტანილია საქართველოს ენციკლოპედიაში, როგორც პირველი მეფოლადე. რუსთავში არის მისი სახელობის ქუჩა.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი გმირები ჩვენს ქვეყანაში. ვთხოვ სხვა ფანცულაიებს მოგვაწოდოს ჩვენი გვარის საქმენი საგმირონი.

ჭიჭიკო ფანცულაია.
85 წლის

დიდგორი – 900

ძლევაი საკვირველი

ჯერ დილაა, ჯერ არ არის აგვისტოს მზე მწველი,
ვეღარ იტევს თურქ-სელჩუკთა ჯარს დიდგორის ველი.
მტრის სიმრავლე, ესოდენი, მნახველს ტოვებს სახტად,
დაუწრდილავს ცის სილურჯე მათთა ბაირაღთა.
მომხვდურს ერთი სურვილი აქვს, ერთი ჟინით იწვის -
სრულად აღგვას საქართველო პირისაგან მიწის...
მაგრამ მამულს არ დათმობენ, სული უდგათ სანამ,
ორ მთას შორის ქართველები ჯებირივით დგანან,
მათ თვალებში სიმტკიცე და უფლის რწმენა სუფევს.
იქვე მდგარი ყივჩაღები ანვალებენ შუბებს,
ამართულა ცისკენ ჯვრები, შლიან სეფე დროშას,
ქართულ ჯარში ასიოდე ჯვაროსანიც მოწანს.
მოლაშქრენი აღვირებით ძლივს იჭერენ ცხენებს;
ეჰ, რამდენი დღეს ხვალინდელს ვეღარ გაითენებს...
გული მათი აუწონელ ფიქრს და ვარამს იტევს
ვის დარჩება საქართველო, მაჰმადსა თუ ქრისტეს?!
ციდან უკვე დამშეული ყვავ-ყორნები ყეფენ.
საქართველოს ჯარს მიმართავს საქართველოს მეფე:
- ეჰა, ქრისტეს მეომარნო, ვიდრე გული გვიცემს,
თუ ღვთის რჯულის დასაცავად, მტერს დავხვდებით მტკიცედ.
არა მარტო ეშმას მსახურთ დავაფეთებთ ხმლებით,
თვით ეშმაკსაც დავამარცხებთ, უფლის მეოხებით!
ჩვენ შევკარით ვიწროები, ხით ჩავხერგეთ ხევი,
გზა ყოველმხრივ მოჭრილია უკან დასახევი.
მტერს, რომ ზურგი შეაქციოს, ვის მოუვა აბრად?!.
სიკვდილი ან გამარჯვება, არ არსებობს სხვა გზა!..
უცებ მტერი აჩოჩქოლდა, რადგან ნათლად ხედავს,
თავის მხარეს გადმომავალ ორას ქართველ მხედარს.
მცირე რაზმი ურიცხვ ლაშქარს ვერ მოუტანს ზიანს,
გზას უხსნიან, რადგან მოსულთ მოღალატედ თვლიან.
მტრის რიგებში შეაღწიეს ქართველებმა ოდეს,
იძრეს ხმლები, ხერხს მიმართეს ყოვლად მოულოდნელს.
სასიკვდილოდ განწირული, ძალა ერთი მუჭა,
ჯარს ყივილით დაეძგერა, ღვიძლს შიგნიდან უჭამს;
და იმავ წამს ქართველებმა სცეს საომარ ბუკთა,
დაბნეული შეტორტმანდა ჯარი თურქ-სელჩუკთა.
დაძრა ცხენი დავით მეფემ, ერყეველმა გულით,
სმენას ბზარავს ყიჟინა და ფლოქვთა თქარათქური.
ხმლები თეთრად ელვარებენ, მზეზე ჯაჭვი ბზინავს,
რკინა, ცეცხლში გაწრთობილი, ეხეთქება რკინას.
იღეჭება საჭურველი, ილეწება ძვალი,
იბრძვის დავით და ომშიაც მეფეთ მეფე არი...
თავს სწირავენ მეომრები მისაღწევად მიზნის,
იბრძვიან და ხმაურისგან ცა და მიწა იძვრის;
და ფრიადი ცემისაგან ხმალი გალღვა როცა,
მოწყდა მთიდან მხედრიონი, მტერმა გაიოცა, _
რა გრგვინვაა?! რა ზარია?!. რა ღვთის რისხვა არის?!.
ეს დემეტრე უფლისწული თავის რჩეულ ჯარით
დაეშვა და ქვა და ღორღი დაიყოლა თანა,
მომხვდურს ფერდი შეულეწა, გროვად გაიტანა.
გატყდა მტერი, ვეღარ იტევს აურაცხელ ზარალს,
იკლაკნება, ხერხემალი ისე დაებზარა.
თავს შველიან, სიცოცხლე სურს - ჭკვიანსა თუ რეგვენს
და გარბიან, თან ერთმანეთს უმოწყალოდ სჯეგენ.
ძარღვში სისხლი დაძაბუნდა, პირში ნერწყვი გაძრა
და ტფილისმა გაიგონა ქართველების ვაშა...
კვლავ ცხენდაცხენ მიპყვებიან მეომრები პატრონს,
მტერს საბღვრამდე უნდა სდიონ, სული ამოჰხადონ...
დავითს წამით ჩაეღიმა, არად აგდებს წვრილმანს,
რა ქარქაში კვლავ უარყო ხრშალმან დაღვლარჭნილმან.
გვირგვინოსანს ქვეშევრდომნი შეპყურებენ რიდით,
დღეს მეფემან, მკლავმაგარმან, „ქმნა ნყობანი დიდნი“.

.....

ახსოვს მამულს მტერთა ზედა ძლევა საკვირველი,
ახლაც იშრობს თურქ-სელჩუკთა სისხლს დიდგორის ველი...
მადლი იმ დღის მავანს დღემდე გულს ესობა ისრად,
მხნეობითა ქართველთა და შენევნითა ღვთისა...

ქალაქში გახსნება

მოგეხსენებათ, ამერიკული საერთაშორისო სკოლა **„პროგრესი“** 20 წელია ლიდერობს საქართველოს საგანმანათლებლო ქსელში. სკოლას სამი ფილიალი აქვს – თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. იგი ლიცენზირებულია ორმაგი ავტორიზაციით: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აშშ–ის College Board- ის მიერ, შესაბამისად სკოლის მოსწავლეები იღებენ ორმაგ ატესტატს – როგორც ქართულს, ასევე საერთაშორისოს.

სწორედ **„პროგრესის“** ბაზაზე დაფუძნდა **„პროგრეს ედუქეიშენი“**, სადაც მე–9 კლასიდან მიიღებიან მოსწავლეები და მათ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის ინგლისურ ენაზე გავლის შემდეგ, მიეცემათ დიპლომი, ისეთი, რასაც გასცემენ აშშ–ის უმაღლესი სკოლები...

ახლახანს, 2021 წ. 4 ივნისს **„პროგრეს ედუქეიშენის“** მმართველმა პარტნიორებმა ხელი მოაწერეს TOEFL-ის წარმომადგენლობის ხელშეკრულებას. TOEFL–ის ავტორიზებული ცენტრი პირველად საქართველოში, ქ. ქუთაისში გაიხსნება. ცენტრი მოსწავლეებს, სტუდენტებს და ყველა დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემს გაიაროს მოსამზადებელი კურსი, ჩააბაროს TOEFL–ის გამოცდა, ასევე მოიპოვოს გრანტი და ისწავლოს ევროპულ, ბრიტანულ თუ ამერიკულ უნივერსიტეტებში...

„პროგრეს ედუქეიშენი“ არის ყველაზე მოკლე გზა ნიჭიერი, კრეატიული მოსწავლეებისათვის ისწავლონ საქართველოში და მიიღონ ამერიკული სკოლის დიპლომი, ასევე დაეუფლონ ინგლისურ ენას, შეარჩიონ სასურველი პროფესია, ადგილზევე ჩააბარონ TOEFL -ის გამოცდები და დაფინანსებაც მიიღონ,–ამბობს **თამარ კერძაია. „პროგრეს ედუქეიშენის“** ერთ–ერთი მმართველია **თამარ კერძაია** – ჩვენი უნიჭიერესი პოეტის, უკეთილშობილესი ქალბატონის **ნაირა უგულავასა** და სულითა და ხორცით ქართველის, ჭეშმარიტი პატრიოტის, უგანათლებულესი **რამაზ კერძაიას** ქალიშვილი.

„ხარისხიანი განათლების გარეშე შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება“, – ამბობს თამარი და მრავალი არგუმენტი აქვს ამის დასამტკიცებლად. ახალ თაობას საოცარი შესაძლებლობები ეხსნება მაღალი ხარისხის საერთაშორისო განათლების მისაღებად...

„პროგრეს ედუქეიშენის“ მმართველი პარტნიორები არიან ბიზნეს–ფედერაცია „ქალები მომავლისათვის“ თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი **თამარ კერძაია** და ამერიკული საერთაშორისო სკოლის „პროგრესის“ დამფუძნებელი **ნინო ჩიკვაშვილი.**

სკოლის ბევრი კურსდამთავრებული უცხოეთის უნივერსიტეტებში სწავლობს ან მუშაობს პროფესიით. ამიტომაც, ყველა ნიჭიერ მოსწავლეს, ახალგაზრდას მოვუწოდებთ ისარგებლონ სკოლის შესაძლებლობებით, გამოიყენონ შანსი, მიიღონ დაფინანსება...

შრომა ფასდება ძვირფასებო!

გისურვებთ წარმატებებს!

მეგობარმა, რომლის შვილიც აღნიშნულ სკოლაში სწავლობს, რჩევა მომცა, თუ მართლა გინდა შვილს ასწავლო, მიიყვანე „პროგრესშიო“... ვნახოთ, ყველაფერი წინაა. ცხადია, სწორად უნდა დავგეგმოთ მომავალი.

მაია ფეიქრიშვილი

ის ბრწყინავდა ყველგან, სცენაზე თუ საზოგადოებაში!

არ ვიცი, დიდ მონატრებას განვიცდი, ჩემი მეგობრების მიმართ, რომლებმაც თითქმის ნელ–ნელა დატოვეს ჩვენი თეატრი და მარადისობაში გადავიდნენ, თუ დიდ პასუხისმგებლობას მათ წინაშე.

თეატრი ჩემთვის უცხო გახდა, რადგან თვალით ვეძებ ჩემს მეგობრებს, მგონია, ოთახის კარი გაიღება და გამოვლენ, ან სადმე ეზოში ჭადრის ძირას სხედან, ან კიდევ მგონია კულისებში არიან, დამინახავენ და მომაძახებენ, – გამარჯობა „კვაღინა“.

დიდი ხანია ეს სახელი უკვე აღარ მესმის ქალბატონი ციცისგან, ამ სახელით მომართვა ჩემთვის უფრო მშობლიური იყო.

აქვე ცენტრში, ბულვარის წინ მეორე სართულზე ცხოვრობდა, ცნობილი მშობლები ჰყავდა: დედა პედაგოგი, მამა ექიმი.

ქალბატონი ციცი მაღალი კულტურით გამოირჩეოდა: ულამაზესი იყო, ქერა თმებით, გვერდზე ჩამოყრილი კულულებით, თლილი თითებით, თეთრი მოვლილი სახის კანით, ოდნავ მსხვილი ტუჩებით, რომელსაც ყოველთვის ალუბლისფერი დაჰკრავდა. ის ცხოვრებაში პომადას არ ხმარობდა, არც გრიმებს, ეს მისი ბუნებრივი ფერი იყო. ნაზი, ძალიან სათუთი ერთი შეხედვით, მაგრამ შინაგანად ის ძლიერი იყო. მისაბაძი ყველა ქალისთვის, როგორც დედა და მეუღლე. ჩაცმითაც გამორჩეული, განსაკუთრებით ორი ფერი უყვარდა: მწვანე და ყვითელი, დამამახსოვრდა ამ ორი ფერის გიპიურის კაბები, რომელსაც ის იცვამდა, საოცრად უხდებოდა.

მცხუნვარე მზეს ჩინური ქოლგით იჩრდილავდა. მაშინ 70–იან წლებში სწორედ ჩინური ქოლგები იყო მოდაში. როცა ის ქუჩაში ჩაივლიდა, არ შეიძლებოდა, ნებისმიერი გამვლელი არ შეჩერებულიყო და ქალბატონი ციცისთვის უკან არ მოეხედა.

ის ბრწყინავდა ყველგან, სცენაზე თუ საზოგადოებაში. გარდა მსახიობობისა ქალბატონი ციცი უამრავი საქმით იყო დატვირთული თეატრში. მარჯვენა ხელი იყო დირექტორისა და რეჟისორის. მას ევალებოდა რეპეტიციის დაწყებამდე, სცენაზე ყველაფერი მოწესრიგებული ყოფილიყო, მსახიობებიდან დაწყებული ნებისმიერი რეკვიზიტით დამთავრებული. ის გახლდათ რეჟისორის ასისტენტი, რაც კარგად გამოსდიოდა.

1968–69 წელს რეჟისორ **მარკი ბახტაძის** მიერ დადგმულმა სპექტაკლმა „ქრისტინე“ დიდი ოვაციები გამოიწვია. მონაწილეობდნენ განუმეორებელი მსახიობები: **ვერა ქვათელაძე, მარიამ ჩაჩანიძე, გურამ უგულავა, დურმიშხან მენაბდე, რევაზ შამათავა** და თქვენი მონამორჩილი **გულიადა სანოძე.** აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ პიესაში ქალბატონი ციცის მეუღლე ბატონი **მურმან კვარაცხელია** მონაწილეობდა. ის მოქეიფე, გაბღენძილ ბატონს თამაშობდა, რაც მის გარეგნობას ძალიან უხდებოდა. მაშინ ვიდეო არ იყო, მხოლოდ ფოტოები შემოგვრჩა.

ვუყურებ ამ გაყვითლებულ ფოტოებს და მეხსიერებაში აღვიდგინე მაშინდელი სპექტაკლის სცენები...

მას შემდეგ 50 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ქალბატონი ციცის მოძრაობა, მისი მოქმედება სცენაზე, შეწუხებული სახე, ხელებგაწვდილი, როგორ ითხოვს დახმარებას, ჩემს მეხსიერებაში არასოდეს წაიშლება, სწორედ ეს არის მსახიობის დიდი გამარჯვება.

რა წაშლის მეხსიერებაში **ილია ჭავჭავაძის** „განდეგილს“, სადაც ქალბატონი ციცი მწყემსი ქალის როლს თამაშობდა. ეს პიესა დაახლოებით 1967 წელს დაიდგა. განდეგილს **გურამ უგულავა** თამაშობდა.

გინახავთ ქალბატონი ციცის

შესრულებული ცეკვა „ესპანური“? გრძელი ნითელი ფირფიშებიანი კაბა, შავი წვრილი კანტით შემოვლებული, ქერა თმებში მიმაგრებული ნითელი ვარდი. მესმის მისი ფეხების რითმული ხმა, ვხედავ საოცარ მოძრაობებს, გვერდს **ზურაბ აბზიანიძე** უმშვენებს ესპანურ ტანსაცმელში გამოწყობილი. დაუვიწყარია სუნთქვაშეკრული მაყურებელი და ძლიერი ტაში „ბრავოს ძახილით“.

1970–71 წლებში დაიდგა სპექტაკლი **შალვა რადიანის** „ იდეა–გაიმარჯვებს“ ,დამდგმელი რეჟისორი **სიკო ვაჩნაძე,** სადაც ციცი თავადის ქალის როლს თამაშობს... საერთოდ ქალბატონ ციცისა და ბატონ რეზო შამათავას გამოჩენას სცენაზე მაყურებელი ყოველთვის დიდი ოვაციით ხვდებოდა. ისინი ალამაზებდნენ მაშინდელ ყოფას, თეატრს და შეუძლებელია მათი დავიწყება!

მინდა გითხრათ, რომ მე განსაკუთრებული ყურადღებით მეპყრობოდა, რადგან ასაკით ყველაზე პატარა ვიყავი...

ჩვენს თეატრში დაიდგა **სიკო ვაჩნაძის** „შეწყვეტილი დიალოგი“, **გ. ბათიაშვილის** პიესა „ლალი, სიყვარული და სხვა“, დამდგმელი რეჟისორი **ტარიელ ხაჟალია,** სადაც ქალბატონმა ციციმ დაუვიწყარი სახეები შექმნა.

70-იან 80-იან წლებში, ხონის სახალხო თეატრი საქართველოს მასშტაბით ბრწყინავდა, რამდენიმე გასტროლი გვქონდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

ქალბატონი ციცი ერთ–ერთი გამორჩეული სახე იყო, მან დიდი გამარჯვება მოუტანა ჩვენს რაიონს და ჩვენს დასს თავისი უამრავი ჯილდოებით და წარმატებებით. სამაგალითო ქალი, შესანიშნავი მსახიობი, ნამდვილი ვარსკვლავი ყველგან ბრწყინავდა.

ნათელი მის სულს!

გულიადა სანოძე